

*ცხელი ამბები ცივი გონებით: ტრავმის გაშუქება პოლიტიკური ჭიდილის პირობებში*

*ჟურნალიზმისა და ტრავმის დარტ ცენტრის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოებისა და ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ინიციატივით, 14 აპრილს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კლუბში, ჩატარდა საზოგადოებისათვის მატრავმირებელი მოვლენების მედია-გაშუქებისადმი მიძღვნილი ნახევარდღიანი კონფერენცია*

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წამყვანი მედია-ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ფსიქოტრავმატოლოგიის ექსპერტებმა. მსჯელობის საგანი იყო ფსიქოტრავმატოლოგიის ელემენტარული ცოდნის აუცილებლობა ჟურნალისტებისათვის კონფლიქტის, ომის, თუ ძალადობასა და კატასტროფებთან დაკავშირებული სხვა სიუჟეტების გაშუქებისას. განხილულ იქნა ფსიქოტრავმატოლოგიებისა და ჟურნალისტების თანამშრომლობის პერსპექტივები.

კონფერენციის მოწვეული სპიკერი იყო რობერტ ვან ვორენი, ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ გენერალური მდივანი. მან დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა თავისი, როგორც ყოფილი ჟურნალისტისა და ამჟამად ფსიქიკური ჯანმთელობის ექსპერტის, გამოცდილება; ისაუბრა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მნიშვნელობაზე ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ჟურნალიზმის განვითარების საქმეში. რობერტ ვან ვორენმა აღწერა შემთხვევა პრაქტიკიდან, სადაც ნაჩვენები იყო, რომ დემოკრატიის პირობებში, როდესაც საქმე ეხებოდა არჩევანის გაკეთებას რესპოდენტის, როგორც ინდივიდის უფლებებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის, სასამართლომ არჩია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურებოდა.

ნინო მახაშვილმა, საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების პრეზიდენტმა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სტიგმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ: ხშირია ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზების სალანძღავ სიტყვებად გამოყენება; ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებს უყურებენ როგორც მათ, ვინც დიაგნოზი უნდა დაუსვან საზოგადოებას და ამა თუ იმ ცნობად ადამიანებს. ამგვარი განწყობები საზოგადოებას ხელს უშლის, დაინახოს და აღიაროს ის ნორმალური ფსიქიკური პრობლემები, რაც მას თვითონ აწუხებს – მაგალითად, სოციალური ტრავმა, განვითარებული გადატანილი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების, სამოქალაქო ომისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზით. „იმედის 13 აპრილის მოდელირებულმა რეპორტაჟმა გამოიწვია ჩვენი საზოგადოების რეტრავმატიზაცია“, აღნიშნა ნინო მახაშვილმა.

ჯანა ჯავახიშვილმა, დარტ ცენტრის საკონტაქტო პირმა სამხრეთ კავკასიაში, ისაუბრა სამი სახის რისკზე, რომელსაც აწუხებს ჟურნალისტი ძალადობის, კონფლიქტის, ბუნებრივი კატასტროფების თუ ადამიანურ ტრაგედიებთან დაკავშირებული სხვა სიუჟეტების გაშუქებისას. ეს რისკებია: 1) თვით ჟურნალისტის ტრავმირება, რაც აისახება, ერთი მხრივ, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულების ხარისხზე და მეორე მხრივ, მისი ცხოვრების ხარისხზე – ტრავმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაა და თუ არ იქნა

დროულად მოვლილი, იგი ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს სიმპტომა მთელი რიგი სახით (მაგალითად, ძილის პრობლემები, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და ა.შ.); 2) ჟურნალისტი/მედია სააგენტოს მიერ თავისი აუდიტორიის ტრავმირება. ეს რისკი იზრდება, თუ ჟურნალისტი/სააგენტო თავის მოღვაწეობაში არ დაიცავს პრინციპს „არ ავნო“; ასე მოხდა, მაგალითად, 13 აპრილს, როდესაც მოდელირებულმა რეპორტაჟმა მასიური პანიკა გამოწვია საზოგადოებაში; 3) დაბოლოს, არსებობს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი რესპოდენტის კიდევ უფრო ღრმად ტრავმირების რისკი, თუ მუშაობისას არ იქნება დაცული შესაბამისი პროფესიული სტანდარტები. „არსებობს სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა იმისა, თუ როგორ ავარიდოთ თავი ამ რისკებს. ჩვენი დისციპლინათაშორისი თანამშრომლობა და დარტ ცენტრთან კავშირი სწორედ ამ ცოდნის გავრცელებას ემსახურება საქართველოში“, აღნიშნა ჯანა ჯავახიშვილი.

ნინო დანელიამ, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორმა, ისაუბრა სპინზე; განმარტა ცნება, მასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია („სპინ-ოთახი“, „სპინ-დოქტორები“ და ა.შ.). მან სხვადასხვა ტელე-რეპორტაჟების მაგალითზე აჩვენა დამსწრე საზოგადოებას, რომ სპინ-დოქტორები ძალიან დახვეწილად მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრითა და განწყობებით, მაშინ როდესაც მედია არ არის საკმარისად ძლიერი, რათა წინ აღუდგეს ამ ტენდენციას და სპინს სიმართლეზე დაფუძნებული ინფორმაცია დაუპირისპიროს.

თიკო ცომაიამ, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორმა, ისაუბრა მედია-რედაქტორის დამოუკიდებლობაზე, როგორც თავისუფალი მედიის საწინდარზე; გაუსვა ხაზი როგორც შიდა, ასე გარეშე ძალებს, რომელთაგანაც დამოუკიდებლობისაკენ უნდა მიისწრაფოდეს თავისუფალი მედია. ეს ძალებია: ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიების ინტერესები, ბიზნესი და კომერციული ინტერესები და საკუთრივ ჟურნალისტის წინასწარგანწყობები. თიკო ცომაიამ აღნიშნა, რომ საქართველოს რეალობაში ამ უკანასკნელზე (საკუთარ განწყობებზე) დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება შესაძლოა ჟურნალისტებისა და რედაქტორების ტრენინგისა და განათლების გზით.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წამყვანი მედია-საშუალებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შემდეგმა წარმომადგენლებმა, კერძოდ: მაია მიქაშავიძემ – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დეკანმა, მარინა ვაშაყმაძემ – რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს დირექტორმა, პაატა ვეშაპიძემ – გაზეთ „24 საათის“ მთავარმა რედაქტორმა, ნინო ჯაფიაშვილმა – ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორმა, ელენე კვანჭილაშვილმა – ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორმა, დავით ჩაგანავამ – რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს ჟურნალისტმა, თამარ მიქაძემ – საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის ოფიცერმა, ნანა ალაპიშვილმა – ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობის“ დირექტორმა, მანანა გაბაშვილმა – ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დირექტორის მოადგილემ, ნატა ზაზაშვილმა – ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორმა, ლელა ცისკარიშვილმა – საქართველოს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორმა და სხვ.

დისკუსიის მონაწილეთა აზრით, მედიასთან დაკავშირებული პრობლემები კომპლექსური ხასიათისაა და სათავეს იღებს ისეთი ძირეული პრობლემებიდან, როგორცაა დემოკრატიული ფასეულობებისა და პროფესიონალიზმის დეფიციტი. აქედან გამომდინარე, დღეისათვის საქართველოს მედია სივრცეში არსებული პრობლემების გადაწყვეტა საჭიროებს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და მედია-განათლების ინსტრუქციური მექანიზმების განვითარებას. აღინიშნა, რომ მედია-წიგნიერება და კრიტიკული აზროვნება უნდა ისწავლებოდეს განათლების ყველა საფეხურზე – დაწყებული საჯარო სკოლიდან დამთავრებული საუნივერსიტეტო პროგრამებით.

აღინიშნა, რომ შესაბამისი ტრენინგ-პროგრამები უნდა იქნას მომზადებული და შეთავაზებული სხვადასხვა მედია-ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით სამაუწყებლო მედიასათვის; ასევე, უნდა მოხდეს უშუალო კომუნიკაცია მედია-პროდუსერებთან და მენეჯერებთან, რათა გაიზარდოს მათი გათვინობიერების ხარისხი ტრავმასთან დაკავშირებული სიუჟეტების პროფესიული გაშუქების თაობაზე.

დასკვნის სახით ითქვა, რომ ტრავმის მიმართ მგრძობიარე მედია-გაშუქების ფორმულა მდგომარეობს შემდეგში: ჟურნალისტი უნდა ფლობდეს ფსიქოტრავმატოლოგიის ელემენტარულ ცოდნას და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს პროფესიული ქცევის კოდექსით.